

წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი (თვისებრივი ნაწილი)

11 მაისი -9 ივლისი 2012

11 მაისიდან 9 ივლისამდე პერიოდში სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ წინასაარჩევნო მედია მონიტორინგის პროექტის ფარგლებში განახორციელა პრესის მონიტორინგის. შეფასდა 10 ბეჭდური გამოცემის 2 000-მდე სტატია. მიღებული მონაცემების შედეგად, გამოვლინდა, რომ:

- თითქმის ყველა გამოცემაში ყველაზე მეტი ფართობი ეთმობა კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და ამ კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ სუბიექტებს, გარდა ჟურნალი „თბილისელებისა“, სადაც ამ ორგანიზაციისთვის დათმობილი ფართობი 1%-ს არ აღემატება. პირველ სამეულში ამ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან ერთად უმეტეს შემთხვევაში ხვდება პრეზიდენტი და მთავრობა.
- საპარლამენტო ოპოზიციური სპექტრიდან ბეჭდურ მედიაში ყველაზე ხშირად „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ გვხვდება. იშვიათადაა გამოყენებული სხვა ოპოზიციონერი დეპუტატების კომენტარები, ხოლო მათთან ინტერვიუ თითქმის არც ერთ მედია საშუალებაში არ გამოქვეყნებულა.
- ყველაზე მეტი ნეგატიური განწყობის ფოტო ბეჭდურ მედიაში მიხეილ სააკაშვილის ფოტოებია, რომელსაც მოსდევს ბიძინა ივანიშვილის ნეგატიური ტონის ილუსტრაციები. პოზიტიური განწყობის ფოტოებზე კი ყველაზე ხშირად ბიძინა ივანიშვილია გამოსახული. აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერის პოზიტიური ტონის ფოტოების ფართობი ჭარბობს მისი ნეგატიური განწყობის ფოტოების საერთო ფართობს, ხოლო პრეზიდენტის ფოტოების შემთხვევაში პირიქით, ნეგატიური ტონის ფოტოებს გამოცემებში გაცილებით მეტი ადგილი დაეთმო, ვიდრე პოზიტიურს.
- დაკვირვების ქვეშ მყოფი გამოცემების უმრავლესობაში გამოხატულია მკვეთრი ნეგატიური განწყობა როგორც პირადად პრეზიდენტის, ისე ზოგადად, მოქმედი ხელისუფლების მიმართ. გაზეთებში „ალია“, „კვირის ქრონიკა“ და „ასავალ-დასავალი“ კი, ნეგატიური ტონის გარდა ჟურნალისტები არაეთიკურ გამოთქმებს იყენებენ და აქვთ აგრესიული ტონი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ.

- ბეჭდურ მედიაში ხშირად ვრცელდება გადაუმოწმებელი და დაუზუსტებელი ინფორმაცია. ამ კუთხით, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებისგან უფრო მეტად შეინიშნებოდა ამ ჟურნალისტური სტანდარტის დაცვის მცდელობა.

მეთოდოლოგია და ანალიზი

პრესის წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივში შედის სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობი და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტებია: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, სტატიის ენა.

რაოდენობრივი ანალიზის შედეგები წარმოდგენილია თანდართულ დიაგრამებზე. დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად მიჩნეულია მონიტორინგის კონკრეტულ პერიოდში თითოეულ გამოცემაში ყველა სუბიექტისთვის დათმობილი მთლიანი ფართობი, რაც თითოეული დიაგრამის სათაურშია მითითებული.

დიაგრამებზე ასევე ნაჩვენებია სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობის განაწილება ტონის მიხედვით. გვაქვს ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური (ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი ფართობი, იქვე ხდება ტონის შეფასება. ყურადღება ექცევა როგორც ჟურნალისტის ან რესპონდენტის ტექსტს, ასევე სტატიის მთლიან კონტექსტს. წარმოდგენილია ერთის მხრივ, სუბიექტისთვის დათმობილი სრული ფართობის განაწილება ტონის მიხედვით, და მეორეს მხრივ, იმ ფართობის შეფასება, სადაც სუბიექტის შესახებ ჟურნალისტი წერს. მონაცემები წარმოდგენილია პროცენტებში, სადაც 100 პროცენტი პირველ შემთხვევაში, არის მოცემული გამოცემაში სუბიექტისთვის დათმობილი სრული ფართობი, ხოლო მეორე შემთხვევაში, სუბიექტზე ჟურნალისტის მიერ დაწერილი ტექსტის ფართობი. დიაგრამებზე არაა გამოტანილი, ის სუბიექტები, რომელთაც იმდენად მცირე ფართობი დაეთმო, რომ მათი ტონის პროცენტული გამოსახულება საზოგადოებას შეცდომაში შეიყვანს. მაგალითად, „კვირის პალიტრაში“ „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას“ 10 კვ.სმ. დაეთმო, სადაც ამ პარტიაზე ნეიტრალურ ტონში წერდნენ. ამ ფართობის ტონებად ჩვენება, შექმნის

წარმოდგენას, რომ „ედპ“ ყოველთვის ნეიტრალურად შუქდება ამ მედია საშუალების მიერ. ეს კი იქნება მცდარი დასკვნა, ვინაიდან 10კვ.სმ არ არის საკმარისი ფართობი იმისათვის, რომ სუბიექტის ზოგად გაშუქებაზე დასკვნის გამოტანა გახდეს შესაძლებელი.

თვისებრივი მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა ბალანსს ანუ რამდენად არის სტატიაში წარმოდგენილი რამოდენიმე განსხვავებული მოსაზრება სტატიის თემის შესახებ. რამდენად ეძლევა მკითხველს საშუალება, მრავალმხრივი წარმოდგენა შეიქმნას საკითხზე.

გარდა ამისა, მონიტორი აფასებს სტატიის სიზუსტეს, რამდენად შეესაბამება ჟურნალისტის დასკვნა და სტატიაში წარმოდგენილ ფაქტებს, არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში. ფასდება ასევე, რამდენად არის სტატია ფაქტებზე დაყრდნობით აგებული, რაც პირველ რიგში, გულისხმობს, გადამოწმებულია თუ არა ერთი წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია და ეძლევა თუ არა მკითხველს საშუალება, რომ სტატიის წაკითხვის შემდეგ იცოდეს მომხდარი ფაქტის შესახებ უტყუარი ინფორმაცია.

მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდება თანდართულ ილუსტრაციაზეც, თუ მასზე გამოსახულია მონიტორინგის რომელიმე სუბიექტი. გარდა ფართობის განსაზღვრისა, ფასდება ილუსტრაციის ტონიც იმის მიხედვით, რა განწყობას უქმნის ფოტო მკითხველს.

თვისებრივი ანალიზის კიდევ ერთი კომპონენტია სტატიის ენა, რაც ერთგვარად არის რაოდენობრივი ანალიზისას წარმოდგენილი ჟურნალისტის ტონის მსგავსი, იმ განსხვავებით, რომ თვისებრივი ანალიზისას უფრო მეტი ყურადღება ექცევა ჟურნალისტის ლექსიკას და ფრაზეოლოგიას არა მხოლოდ მონიტორინგის სუბიექტების მიმართ, არამედ მთელ სტატიაში. რიგ შემთხვევებში, ჟურნალისტი არ წერს მონიტორინგის სუბიექტზე, თუმცა ტექსტი მაინც საყურადღებო და მნიშვნელოვანია თვისებრივი ანალიზისთვის.

ამ კომპონენტებზე დაყრდნობით წარმოდგენილია 11 მაისიდან - 9 ივლისამდე პერიოდის გამოცემების მონიტორინგის შედეგები

ყოველდღიური გამოცემები

24 საათი

11 მაისიდან- 9 ივლისამდე პერიოდში გაზეთ „24 საათში“ ყველაზე მეტი ფართობი კოალიცია ქართულ ოცნებას და პრეზიდენტს დაეთმო (22-22%). მათ გარდა ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხებოდათ პარლამენტს და მთავრობას (17% და 16%). აღსანიშნავია, რომ მთავრობის მომდევნო სუბიექტს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ გაცილებით ნაკლები, მხოლოდ 3% დაეთმო. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან სუბიექტი „პარლამენტი“ პარლამენტის თავმჯდომარისა და ვიცე-სპიკერების გარდა ასევე აერთიანებს კომიტეტის თავმჯდომარეებს, „ნაციონალური მოძრაობისთვის“ დათმობილი ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი პარლამენტს დაეწერა, რადგან კომიტეტის თავმჯდომარეების უმრავლესობა ამ პარტიის წარმომადგენელია, ისევე როგორც პარლამენტის თავმჯდომარე. ყველა დანარჩენ სუბიექტზე ფართობი თითქმის თანაბრად გადანაწილდა.

მასალის ტონის მიხედვით შეფასებისას აღსანიშნავია, რომ სუბიექტები ნეტირალური ტონით იყვნენ წარმოდგენილი. დადებითი ტონი რამოდენიმე სუბიექტის მიმართ თითქმის თანაბრად დაფიქსირდა (ქდმ, მთავრობა, პრეზიდენტი, ქართული ოცნება, ადგილობრივი თვითმმართველობა), ხოლო უარყოფითი ტონი განსაკუთრებით თვალშისაცემია ხელისუფლების მიმართ (46%), თუმცა ჟურნალისტის ტონის ცალკე გამოყოფის შედეგად ირკვევა, რომ ამ პროცენტის მხოლოდ მცირე ნაწილი მოდის ჟურნალისტზე და ძირითადად ნეგატიური ტონი ხელისუფლებას სხვა სუბიექტების მიერ გამოთქმული მოსაზრებების გამო მიენიჭა.

თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ 24 საათის სტატიებში უმეტესად რამოდენიმე განსხვავებული წყაროა წარმოდგენილი, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ გამოცემაში, რომელიც ყოველდღიურად გამოდის და მიმდინარე მოვლენების შესახებ მოკლე, საინფორმაციო სახის სტატიებს სთავაზობს მკითხველს, ნაკლებია მოვლენების სიღრმისეული და მრავალმხრივი ანალიზი.

24 საათი სხვა გამოცემებისგან გამოირჩევა ფოტოების სიმცირითაც. სტატიებს იშვიათად არ ახლავთ ილუსტრაცია, რაც უფრო მშრალს ხდის მოწოდებულ ინფორმაციას. ის ილუსტრაციებიც, რომელიც წარმოდგენილია გაზეთში, ნეიტრალურია და არავითარ შთაბეჭდილებას ან განწყობას არ ქმნის მკითხველში.

სტატიის ენა 24 საათში ნეიტრალურია იმდენად, რამდენადაც ჟურნალისტები არც ხოტბას ასხამენ რომელიმე სუბიექტს და არც ლანძღვას თუ ქილიკს არ მიმართავენ.

რეზონანსი

რეზონანსში ყველაზე მეტი ფართობი დაეთმო კოალიცია „ქართულ ოცნებას“ (35%). მას მოსდევს მთავრობა, რომელსაც ორჯერ ნაკლები ფართობი დაეთმო, ვიდრე კოალიციას (17%). სამეულში მოხვდა პრეზიდენტიც, რომელსაც მთლიანი ფართობის 10% დაეთმო. ყველა დანარჩენ სუბიექტს 7% ან ნაკლები დაეთმო.

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონით შეფასებას რაც შეეხება, აღსანიშნავია, რომ სახელისუფლებო სუბიექტების მიმართ ჭარბობს ნეგატიური ტონი. პრეზიდენტს, ხელისუფლებას, ადგილობრივი თვითმმართველობას, კონტროლის პალატას და ნაციონალურ მოძრაობას მათთვის დათმობილი ფართობების 50% ან მეტი ნეგატიური ტონით გაშუქება აქვთ. დადებითი ტონი ქართული ოცნების, მთავრობის, პრეზიდენტის და თვითმმართველობისა და ნაციონალური მოძრაობის მიმართ გვხვდება, თუმცა ძალიან უმნიშვნელო ოდენობით (1-2%).

სუბიექტების ტონი მაშინ, როცა მათზე ჟურნალისტი საუბრობს/წერს მნიშვნელოვნად არ განსხვავდება იმ მონაცემისგან, რომელიც სეარტო ფართობის ანალიზმა აჩვენა. ნეგატიური ტონი რაოდენობრივად ზემოაღნიშნული სუბიექტების მიმართ საკმაოდ ბევრია. ყველაზე მეტად ნეგატიური ტონით რეზონანსის ჟურნალისტების მიერ „ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქდა (73%). დადებითი ტონი კი უმნიშვნელო ოდენობით გამოვლინდა კოალიცია ქართული ოცნებისა და ნაციონალური მოძრაობის მიმართ (1-1%).

გამოცემის ზოგადი შეფასების სახით შეიძლება ითქვას, რომ 24 საათისგან განსხვავებით, რეზონანსი მთლიან გამოცემას (რამოდენიმე გვერდის გარდა) პოლიტიკურ საკითხებს უთმობს და ჟურნალისტები ცდილობენ მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემით არ შემოიფარგლონ და ანალიზსაც სთავაზობენ მკითხველს.

სტატიებში რამოდენიმე განსხვავებულ პოზიცია/მოსაზრება ჩანს და შეიძლება ითქვას, რომ ამ კუთხით რეზონანსის სტატიები რიგ შემთხვევებში საკმაოდ დაბალანსებულია, თუმცა ხშირია ისეთ შემთხვევებიც, როცა მოწოდებული ფაქტები არ არის არც გადამოწმებული, არც დადასტურებული. შედეგად მკითხველს ისღა რჩება, ჟურნალისტის მიერ მონათხრობს წყაროების გარეშე ან ერთ წყაროზე დაყრდნობით დაუჯეროს. გარდა ამისა, მონიტორინგის პერიოდში მოხვდა სტატიები, რომელთაც რამოდენიმე წყარო კი ჰყავდათ, თუმცა პოზიციათა სიმრავლე არ შეინიშნებოდა. მაგალითად, 16 მაისის სტატია სკოლებში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის გამოცდების ჩაბარების თაობაზე. სტატიაში რამოდენიმე განსხვავებული წყაროა, თუმცა ყველა ერთსა და იმავეს ამბობს და ამით გარკვეულწილად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თავად ჟურნალისტიც ამ პოზიციაზეა და ერთგვაროვანი პოზიციების წარმოდგენით თავადაც გამოხატავს ნეგატიურ განწყობას ამ ინიციატივის შესახებ.

რეზონანსის ჟურნალისტები მეტწილად სტატიებს ნეიტრალური ენით წერენ, თუმცა ზოგჯერ ნეგატიური ტონით წერენ საკითხისადმი საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისთვის.

ყოველკვირეული გაზეთები

კვირის პალიტრა

კვირის პალიტრაში ყველაზე მეტი ფართობი ქართულ ოცნებას დაეთმო (42%), მის მომდევნო სუბიექტს, პრეზიდენტს კი - 26%. საკმაოდ დიდი პროცენტული განსხვავებაა მეორე და მესამე სუბიექტებს შორის. მთლიანი ფართობის მხოლოდ 8% დაეთმო მესამე სუბიექტს, ხელისუფლებას.

ფართობის ტონების მიხედვით განაწილების კუთხით, საინტერესოა, რომ კვირის პალიტრაში რეზონანსის მსგავსი სურათი შეიქმნა. კერძოდ, ნეგატიური ტონი დაფიქსირდა სახელისუფლებო სუბიექტების მიმართ, როგორცაა პრეზიდენტი, პარლამენტი,

ხელისუფლება, ადგილობრივი თვითმმართველობა და ნაციონალური მოძრაობა. ყველა სხვა სუბიექტის მიმართ ნეიტრალური ტონი ჭარბობს. პოზიტიური ტონი კი მცირე ოდენობით გამოვლინდა პარტია დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის (ლიდერი-ნინო ბურჯანაძე) მიმართ (9%), ასაევე ქართული ოცნების (3%) და პრეზიდენტის (1%) მიმართ.

ჟურნალისტის ტონის ცალკე გამოყოფის შედეგად ნათლად ჩანს, რომ მონაცემი, რომელიც აჩვენა საერთო ფარტობის ტონების მიხედვით განაწილებამ, ჟურნალისტის ტონის ნაწილშიც შენარჩუნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სუბიექტების მიმართ ნეგატიური ტონით თავად ჟურნალისტები საუბრობდნენ. აქვე საჭიროა მცირე განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით, რომ კვირის პალიტრას აქვს რამოდენიმე საავტორო სვეტი რამოდენიმე ჟურნალისტის, სადაც მათი პირადი მოსაზრებები და პოზიციები იწერება. შესაბამისად, ამ სვეტებში ჟურნალისტები კრიტიკულები არიან ხელისუფლების მიმართ და ზოგჯერ ცინიკურებიც.

კვირის პალიტრის პოლიტიკური თემატიკის სტატიებში ბალანსი ძირითადად დაცულია, გარდა ინტერვიუებისა, სადაც მხოლოდ ერთი რესპოდენტია და მხოლოდ ერთი ადამიანის მოსაზრებებია წარმოდგენილი. ფაქტები უმეტეს შემთხვევებში გადამოწმებულია.

კვირის ქრონიკა

კვირის ქრონიკის პირველი სამეული ასე გამოიყურება: კოალიცია ქართული ოცნება - 45%, პრეზიდენტი - 21% და სახალხო კრება - 9%. დანარჩენ სუბიექტებს 7% და ნაკლები ფართობი დაეთმო, რაც მიუთითებს ფართობის არათანაბარ გადანაწილებაზე გამოცემაში.

ტონი სუბიექტების მიმართ არის ძალიან განსხვავებული. თვალშისაცემია 90% ნეგატიური ტონი ხელისუფლების მიმართ და 71% ნეგატიური ტონი პრეზიდენტის მიმართ, მაშინ, როცა კოალიცია ქართული ოცნების მიმართ ტონი ასე ნაწილდება - დადებითი 41%, ნეიტრალური 44% და ნეგატიური 15%. ჭარბად არის ნეგატიური ტონი ნაციონალური მოძრაობის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მთავრობის მიმართ. სიების დაზუსტების კომისიას კი 100% უარყოფითი ტონი აქვს. მართალია, ეს კვ.სმ-ებით უფრო ნაკლებია (83კვ.სმ) ვიდრე სხვა სუბიექტების ფართობი, თუმცა ეს ფართობი სრულად ჟურნალისტზე მოდის. პოზიტიური ტონით არის წარმოდგენილი ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობაც (24%).

სუბიექტებისთვის დათობილი ფართობის განაწილება ჟურნალისტის ტონის მიხედვით კიდევ უფრო უარყოფით სურათს იძლევა. აქ ნათლად ჩანს, რომ პრეზიდენტის მიმართ ჟურნალისტის მიერ მასზე საუბრის 89% ნეგატიურია. 90% და 82% უარყოფითი ტონი აქვთ ნაციონალურ მოძრაობას და ხელისუფლებას.

ბალანსის დაცვის კუთხით, უნდა აღინიშნოს, რომ კვირის ქრონიკა ხშირად არღვევს მას და წარმოგვიდგენს მხოლოდ ერთი ადამიანის ნააზრევს. ეს ერთი ადამიანი ხან თავად ჟურნალისტია, ხან კი რესპოდენტი. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში მკითხველს ინფორმაცია ცალკმხრივად მიეწოდება.

რაც შეეხება სიზუსტეს, კვირის ქრონიკის ჟურნალისტები ხშირად იყენებენ ანონიმურ წყაროს იქ, სადაც ამის საჭიროება არ არის. ხშირია გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება, შედეგად სტატიის ანალიზისას ჩნდება ისეთი შთაბეჭდილება, რომ მკითხველი სიტყვაზე უნდა ენდოს ჟურნალისტს, რასაც წერს, რადგან ხშირ შემთხვევაში არავითარი დოკუმენტალური თუ ფაქტობრივი დადასტურება არ არის სტატიაში მოყვანილი იმ ინფორმაციის შესახებ, რომელსაც ავრცელებს ჟურნალისტი. გარდა ამისა, გაზეთში არ არის მკვეთრად გამოიჯნული სვეტი და ჟურნალისტური სტატია/ნამუშევარი, რაც სტატიის თვისებრივ ანალიზს მნიშვნელოვნად აფერხებდა.

სტატიის ენა კვირის ქრონიკის თვისებრივი ანალიზის დროს იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორია. ტონის ნეგატიურობა გამოვლინდა, როგორც ვნახეთ, რეზონანსშიც და კვირის პალიტრაშიც, თუმცა კვირის ქრონიკაში გამოვლენილი ნეგატიური ტონი უფრო ლანძღვის კატეგორიაში გადადის, ვიდრე ჯანსაღი კრიტიკისა. გარდა იმისა, რომ ოპოზიციურად განწყობილი რესპოდენტები უარყოფით დამოკიდებულებას ავლენენ მოქმედი ხელისუფლების მიმართ, თავად ჟურნალისტები უფრო უხვად იყენებენ არაეთიკურ გამოთქმებს ხელისუფლების, განსაკუთრებით კი პრეზიდენტის და ნაციონალური მოძრაობის წევრების მისამართით. არაეთიკურ გამოთქმების გარდა, სისხლის სამართლის დამნაშავეებად მოიხსენიებენ მოქმედი მთავრობის წევრებს, რითაც არღვევენ უდანაშაულობის პრეზუმფციასაც, ვინაიდან დამნაშავედ აცხადებენ პირებს, რომლებიც არასოდეს გაუსამართლებიათ და არასოდეს დაუმტკიცებიათ სასამართლოზე მათი დამნაშავეობა.

ასავალ-დასავალი

ასავალ-დასავალშიც, მსგავსად სხვა ბეჭდური გამოცემებისა, ყველაზე მეტი ფართობი დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას (44%). მას 28%-ით მოსდევს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო მის მომდევნო სუბიექტს, ხელისუფლებას მხოლოდ 5% აქვს, რაც მსგავსად კვირის ქრონიკისა მიუთითებს სივრცის არათანაბარ გადანაწილებაზე. დანარჩენ სუბიექტებს 5% ან უფრო ნაკლები დაეთმო.

ტონების მიხედვით ყველაზე თვალსაჩინოა სუბიექტი პრეზიდენტი, რომლისთვის დათმობილი ფართობის 83% ნეგატიურ ტონშია, ხოლო ქართული ოცნების ფართობის 63% პოზიტიური გამოუქვბა. ასევე მკვეთრად ნეგატიურ ტონში არიან წარმოდგენილი სუბიექტები ხელისუფლება, ნაციონალური მოძრაობა და მთავრობა.

სუბიექტების ტონი, როცა მათზე ჟურნალისტი საუბრობს მკვეთრად განსხვავებულ სურათს არ იძლევა. განსხვავება ჩანს ლეიბორისტულ პარტიასთან მიმართებაში, სადაც კარგად ჩანს ჟურნალისტის მიერ ამ პოლიტიკურ მოძრაობაზე პოზიტიური ტონით საუბარი.

თვისებრივი ანალიზის შედეგად, ასავალ-დასავალზე კვირის ქრონიკის მსგავსი შედეგები გამოვლინდა. ბალანსის კუთხით, ამ გამოცემაშიც უხვად არის იტნერვიუები, სადაც მხოლოდ ერთი წყაროა და მხოლოდ ერთი პოზიციას წარმოჩენილი. სხვა ტიპის სტატიებშიც ხშირია შემთხვევები, როცა წყაროს გარეშე წერს ჟურნალისტი და ამასთან არც ისაა ნათელი საავტორო სვეტია კონკრეტული სტატია, თუ ჟურნალისტური ნამუშევარი.

სიზუსტეს ხშირად არც ასავალ-დასავალი იცავს. ჟურნალისტები ხშირად გვაწვდიან ინფორმაციას ანონიმური წყაროსგან, მაშინაც კი როცა მოწოდებული ინფორმაცია არ არის სიეთი ღირებული რომ ანონიმური წყარო იყოს საჭირო. ფაქტების გადამოწმება ხშირად არ ფიქსირდება ამ გამოცემის სტატიებში, რამაც შეიძლება მკითხველის შეცდომაში შეყვანა გამოიწვიოს.

ჟურნალისტის ენა ასავალ-დასავალში კიდევ უფრო კრიტიკული და აგრესიულია, ვიდრე კვირის ქრონიკაში. ჟურნალისტები ხშირად იყენებენ არა მხოლოდ არაეთიკურ გამოთქმებს, საკუთარი ნეგატიური განწყობი გამოსახატად ფოტოებსაც იყენებენ.

ალია

გაზეთი ალიაში სუბიექტებს შორის ყველაზე მეტი ფართობი კოალიცია ქართულ ოცნებას დაეთმო და ამ რიცხვმა სუბიექტების საერთო ფართობის (91404 კვ.სმ) 35% შეადგინა. პირველ სამეულში კოალიციის გარდა აღმოჩნდნენ პრეზიდენტი (16%) და მთავრობა (12%). დანარჩენ სუბიექტებს 8% ან ნაკლები დაეთმო.

ტონის თვალსაზრისით ნეგატიური ტონი ჭარბობს პრეზიდენტის (70%), მთავრობის (47%), ხელისუფლების (67%), ნაციონალური მოძრაობისა (71%) და ადგილობრივი თვითმმართველობის (51%) მიმართ. დანარჩენი სუბიექტების მიმართ ფიქსირდება ნეიტრალური ტონი. პოზიტიური ტონი თითქმის არ გვხვდება.

პოზიტიური ტონი არ გვხვდება არც ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობის განაწილებისას. ალიას ჟურნალისტებს არავის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებას არ გამოუვლენიათ.

თვისებრივი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ხშირ შემთხვევაში ალიაში ბალანსი დაცული არ არის, რაც გულისხმობს იმას, რომ სტატიებში წარმოდგენილი საკითხები მრავალმხრივ განხილული არ იყო და განსხვავებული პოზიციებიც არ ჩანდა. უმეტეს შემთხვევაში ან წარმოდგენილია ვრცელი ინტერვიუ სხვადასხვა პოლიტიკოსთან, რომლებიც საკუთარ მოსაზრებებს, ვარაუდებს და ეჭვებს უზიარებენ ჟურნალისტს. ჟურნალისტების მიერ დაწერილი სტატიები კი არ გამოირჩევა წყაროთა სიმრავლით.

ალიის ფურცლებზე ანალიზის შედეგად გამოვლინდა დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელების ფაქტები. კვირის ქრონიკის მსგავსად, აქაც ხშირად არის წარმოდგენილი ანონიმური წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომელიც არ არის ჟურნალისტის მიერ გადამოწმებული.

ალიაში თვალშისაცემია ნეგატიური, არაეთიკური და დამცინავი ლექსიკა, რომელსაც მიმართავენ ალიას ჟურნალისტები მოქმედი ხელისუფლების მისამართით. მაგალითად, პრეზიდენტს უწოდებენ „მიხეილ პირველს“, „მიხეილ აღმაშენებელს“; ნაციონალურ მოძრაობას კი „ნაცმაცუნებად“ იხსენიებენ.

გარდა ზემოაღნიშნული ლექსიკური საშუალებებისა, ალია ხელისუფლების წარმომადგენლების ნეგატიურ კონტექსტში საჩვენებლად მიმართავს ილუსტრაციასაც, შედეგად მის ფურცლებზე იბეჭდება ფოტოები, რომლებიც მკითხველზე ნეგატიურ შთაბეჭდილებას ქმნის პრეზიდენტისა და სხვა ოფიციალური პირების მიმართ.

ყოველკვირეული ჟურნალები

ტაბულა

ჟურნალ ტაბულაში მედია მონიტორინგის ფარგლებში შერჩეულ სუბიექტებს სულ 10750 კვ.სმ. დაეთმოთ. ამ გამოცემაში მათი ჩამონათვალი არც ისე გრძელია და მათ შორის ეს სივრცე პროცენტულად ასე გადანაწილდა: კოალიცია ქართული ოცნება - 50%, მთავრობა - 24%, პრეზიდენტი 18%, ლეიბორისტული პარტია - 2%, პარლამენტი - 2%, ნაციონალური მოძრაობა - 1%, ადგილობრივი თვითმმართველობა - 1% და სახალხო კრება - 1%.

სუბიექტების ტონებში ჭარბობს ნეიტრალური დამოკიდებულება. თითქმის ყველა სუბიექტის შემთხვევაში ნეიტრალური ტონი 70%-ზე მაღალია. პოზიტიური ტონი გამოვლინდა, მხოლოდ პარლამენტთან მიმართებაში. ნეიტრალური ტონის სიუხვე აისახა სუბიექტების ფართობის ჟურნალისტის ტონის მიხედვით დანაწილების დროსაც. ყველა სუბიექტის შემთხვევაში დომინანტი სწორედ ნეიტრალური ტონია.

სტატიებს უმეტესწილად ერთზე მეტი წყარო ჰყავს და ჟურნალისტის მხრიდან ჩანს მცდელობა იმისა, რომ წარმოდგენილი ფაქტები გადამოწმებული და დადასტურებული სახით იქნეს მოწოდებული. ბალანსი ძირითადად არ იყო სახეზე ინტერვიუს დროს, როდესაც ერთი რესპონდენტი საუბრობდა და აფასებდა ამა თუ იმ მოვლენას, ჟურნალისტის მხრიდან იშვიათად იყო წარმოდგენილი განსახილველი საკითხის მიმართ განსხვავებული პოზიციები.

ტაბულას სტატიებში, განსხვავებით სხვა რამოდენიმე გამოცემისგან, არაეთიკური გამოთქმები, დამცინავი ტონი და აგრესიული პოზიცია არ გამოვლენილა.

თბილისელები

ჟურნალი თბილისელები ძირითადად გასართობ და აპოლიტიკურ თემებზე წერს, თუმცა მასში მაინც ვხვდებით პოლიტიკურ სტატიებს და ასევე პოლიტიკოსებს არაპოლიტიკურ თემებზე. ამ გამოცემაში მნიშვნელოვნად განსხვავებული შედეგი გამოავლინა, ვინაიდან მასში არ არის სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობის მხოლოდ 1% დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას, მაშინ, როცა ამ პოლიტიკურ ორგანიზაციას ყველა გამოცემაში საკმაოდ დიდი ფართობი დაეთმო. თბილისელებში ყველაზე დიდი წილი საერთო ფართობისა, რაც არის 1638 კვ.სმ, მოდის პარლამენტზე (36%), რომელსაც მოსდევს მთავრობა 31%-ით და ლეიბორისტული პარტია 11%-ით.

ტონების თვალსაზრისით, მკვეთრად ნეგატიური განწყობა ვლინდება ყველა სუბიექტის მიმართ, გარდა კოალიცია ქართული ოცნებისა, რომელსაც მცირე ფართობი დაეთმო, თუმცა ამ მცირე ფართობის ნაწილში პოზიტიური ტონი გამოვლინდა კოალიციის წევრების მიმართ. დადებითი ტონი სხვა არც ერთი სუბიექტის მიმართ არ დაფიქსირებულა. ჟურნალისტის ტონი მეტწილად ნეგატიურია სუბიექტების მიმართ.

თბილისელების სტატიები, ისინი, რომლებიც მონიტორინგის სუბიექტებს ეხებოდა, საკმაოდ დაუბალანსებელი იყო. ძირითადად წარმოდგენილი იყო ერთი პოზიცია. ფაქტების გადამოწმების კუთხითაც თბილისელები არ გამოირჩეოდა, ვინაიდან ზოგ შემთხვევაში სტატია ერთი წყაროს ან საერთოდ წყაროს გარეშე იყო დაწერილი.

ჟურნალისტის ნეგატიური განწყობა სუბიექტების მიმართ აისახა სტატიის ენის კრიტერიუმშიც, რომელმაც აჩვენა, რომ ჟურნალისტები ხშირად მიმართავდნენ ცინიკურ ტონს და ირონიულ გამოხატუვებებს, რომლებიც ძირითადად ხელისუფლების მიმართ იყო მიმართული.

გზა

ჟურნალ გზაში პოლიტიკურ სუბიექტებს სულ 2487 კვ.სმ. დაეთმო, საიდანაც ყველაზე მეტი ფართობი დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას (35%), პრეზიდენტს (26%) და მთავრობას (17%).

ჟურნალი გზა სუბიექტების მიმართ ნეგატიური ტონით გამოირჩევა სახელისუფლებო სუბიექტების (პრეზიდენტი, მთავრობა, ხელისუფლება) მიმართ, ხოლო ყველაზე ხშირად მოხსენიებული პოლიტიკური ორგანიზაციის მიმართ მცირე ოდენობით (10%) დადებით ტონსაც ავლენს.

ჟურნალისტის ტონი, ისევე როგორც სუბიექტების ზოგადი ტონი, ნეგატიურია სუბიექტების მიმართ. უარყოფითი ტონის თითქმის თანაბარი პროცენტული მაჩვენებელი აქვთ პარლამენტს, მთავრობას, ხელისუფლებას, პრეზიდენტს, ნაციონალურ მოძრაობასა და ადგილობრივ თვითმმართველობას.

პოლიტიკოსებისთვის დათმობილ სტატიებში წყარო ძირითადად თავად ჟურნალისტია და ფაქტები იშვიათადაა გადამოწმებული. რიგ შემთხვევებში ინფორმაცია სხვა სააგენტოებიდანაა აღებული.

ჟურნალ გზაში განსაკუთრებული კრიტიკით გამოირჩევა „პროვოკატორის“ რუბრიკა, რომელიც ყოველ კვირას მიმდინარე მოვლენებს აფასებს და საკმაოდ მწვავედაც აკრიტიკებს ქვეყნის ხელისუფლებას თუ ოპოზიციას მომხდარი ფაქტების გამო.

სარკე

ჟურნალი სარკე, გზისა და თბილისელების მსგავსად, არაპოლიტიკური გამოცემაა, რომელიც ძირითადად საზოგადოებისთვის გასართობი თემებისა და სტატიების მიწოდებაზეა ორიენტირებული, თუმცა ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებსაც არ ივიწყებს და მცირე სტატიებს პოლიტიკურ საკითხებსა და პოლიტიკოსებსაც უთმობს.

მედია მონიტორინგისთვის საინტერესო სუბიექტებს ჟურნალმა სარკემ 4393 კვ.სმ. დაუთმო, საიდანაც ყველაზე მეტი ფართობი ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას დაეთმო (53%),

განსხვავებით სხვა გამოცემებისგან. ქდმ-ს გარდა სამეულში მოხვდნენ კოალიცია ქართული ოცნება (20%) და პრეზიდენტი (9%).

ტონი ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის მიმართ 98%-ით ნეიტრალურია, ხოლო კოალიცია ქართული ოცნების მიმართ პოზიტიური ტონი ჭარბობს (54%). პრეზიდენტის მიმართ კი გვხვდება როგორც პოზიტიური (31%), ისე ნეიტრალური (50%) და ნეგატიური ტონები (19%).


პოლიტიკური სტატიები ხშირ შემთხვევაში დაუბალანსებელია და მხოლოდ ერთი წყარო ჰყავს, ან წყარო მხოლოდ თავად ჟურნალისტია. ფაქტები იშვიათადაა გადამოწმებული.

აღსანიშნავია, რომ გარდა პოლიტიკურ თემატიკაზე წარმოდგენილი სტატიებისა, სარკემ პირად თემებზეც შესთავაზა მკითხველებს ინტერვიუები სხვადასხვა პოლიტიკურ ლიდერთან და მათ ოჯახის წევრებთან, რის შედეგადაც დადებითი ტონით წარმოჩინდა ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა და კოალიცია ქართული ოცნება.


სტატიის ენა უმეტეს შემთხვევაში ნეიტრალურია ჟურნალისტის მხრივ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტები ზოგჯერ ცინიკურ ტონსაც მიმართავენ. მაგალითად „მიშამ წკეპლა მოარტყა მთავრობას“, „შალიკო წინააღმდეგია ნატოსი“.

დანართი


24 საათი




რეზონანსი



კვირის პალიტრა




კვირის ქრონიკა




ასავალ-დასავალი

**ასავალ-დასავალი სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობი
სულ (70440 კვ.სმ)**




ალია

**გაზეთ ალიაში სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობი
(სულ 91404 კვ.სმ)**




ტაბულა




თბილისელები


ფართობი





ქურნალი გზა





ჟურნალი სარკე





სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობის განაწილება ტონის მიხედვით





რეზონანსი









კვირის ქრონიკა





ასავალ-დასავალი





ალია





ტაბულა



ჟურნალი გზა



თბილისელები



სარკე

